EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

სისე საფრანგეთის წინააღმდეგ

Cisse v. France

საჩივარი №51346/99

2002 წელი, 9 აპრილი

ფაქტები

მომჩივანი იყო საფრანგეთში ბინადრობის ნებართვის გარეშე მცხოვრები უცხოელთა ჯგუფის წევრი. 1996 წელს ჯგუფმა გადაწყვიტა მიეღო კოლექტიური ზომები, რათა ყურადღება მიექცია იმ სირთულეებზე, რომლებიც მათ ჰქონდათ საიმიგრაციო სტატუსის გადახედვისას. მათმა კამპანიამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც დაახლოებით, ორასი არალეგალი იმიგრანტის მიერ შემდგარმა ჯგუფმა მოახდინა პარიზის წმინდა ბერნარდის ეკლესიის ოკუპაცია. მათი უმეტესობა წარმოშობით აფრიკელი იყო. ჯგუფის ათმა წევრმა კაცმა გადაწყვიტა შიმშილობა. მოძრაობას, რომელიც ცნობილია როგორც St. Bernard sans papiers, მხარს უჭერდა ადამიანის უფლებათა დაცვის რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთაგან ზოგიერთმა აქტივისტმა გადაწყვიტა დაეძინა შენობაში ემიგრანტების სოლიდარობის ნიშნად. დაახლოებით ორი თვის შემდეგ, პარიზის პოლიციის კომისარმა ხელი მოაწერა ბრძანებას შენობის

სრული ევაკუაციის შესახებ. ბრძანების გაცემის მოტივი იყო ის, რომ შენობის ოკუპაცია არ იყო დაკავშირებული რელიგიურ მსახურებასთან, დაფიქსირდა ისედაც არადამაკმაყოფილებელი სანიტარიული პირობების მკვეთრი გაუარესება, ბოქლომები განთავსდა ეკლესიის გასასვლელებზე და იყო სერიოზული სანიტარული, ჯანმრთელობის, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რისკები. მეორე დილით პოლიციამ ეკლესიის გასასვლელთან დააყენა საიდენტიფიკაციო პუნქტი, შევიდა ეკლესიაში და დაიწყო მისი ევაკუაცია. ეკლესიის ყველა „ოკუპანტი“ გააჩერეს და დაკითხეს. შემდგომში მომჩივანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს და დამნაშავედ ცნეს.

სამართალი

კონვენციის მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევა

34. მომჩივანი დავობდა, სხვა უცხოელებთან ერთად, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

ა. იყო თუ არა ჩარევა

35. მთავრობა ამტკიცებდა, რომ პოლიციის კომისრის მიერ გაცემული ევაკუაციის ბრძანება არ არღვევდა მომჩივნის უფლებას მშვიდობიანი შეკრების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, მთავრობამ განაცხადა, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლება არ ვრცელდება მისი ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მიზნით განზრახულ ღონისძიებებზე, ან როდესაც განურჩევლად მიზნისა, რისთვისაც იყვნენ შეკრებილები, დაუსაბუთებლად იზღუდებოდა სხვათა თავისუფლად შეკრების უფლება. შეკრების მიზანი, რომელშიც მომჩივანი მონაწილეობდა, ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ წესრიგს, რადგან წმინდა ბერნარდის ეკლესია ოკუპირებული იყო საფრანგეთის საიმიგრაციო წესების მიზანმიმართული დარღვევის დასაცავად და ლეგიტიმაციის მიზნით, რაც პასუხისმგებელ პირებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებდა. ამიტომ, შეკრების უკანონობა იყო განსაკუთრებით აშკარა და ამ შეკრების მიზანი თავისთავად მოიცავდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. შესაბამისად, ის არ შეიძლება ჩაითვალოს „მშვიდობიანად,“ რამდენადაც ეს

ტერმინი იქნა განმარტებული სასამართლოს მიერ თავის პრეცედენტულ სამართალში. მისი ხანგრძლივობის გათვალისწინებით (რამდენიმე თვე) არც ოკუპაცია შეიძლება წარმოადგენდეს „შეკრებას.“

36. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ეკლესია რამდენიმე თვის განმავლობაში იყო ოკუპირებული, უდავოდ აფერხებდა ადგილობრივ მრევლს ღვთისმსახურების შესრულებაში, რაც საფრანგეთის კანონმდებლობით იყო შეკრების თავისუფლების ფორმა. ამასთან, ის ფაქტი, რომ ოკუპირებული შენობა იყო სალოცავი ადგილი, რომლის გამოყენებაც რეგულირდება 1905 წლის 9 დეკემბრის კანონით ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის შესახებ, ნიშნავდა, რომ შეკრება არ შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობიანად. იმის მტკიცება, რომ მღვდლის უარი ჩარევაზე საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ შეკრება იყო მშვიდობიანი ხასიათის, ტოლფასი იქნებოდა იმის თქმის, რომ ის იყო ერთადერთი პირი, რომელიც კვალიფიციურია განსაზღვროს საზოგადოებრივი წესრიგისა და რელიგიის თავისუფლებისთვის მიყენებული ზიანი. 1905 წლის 9 დეკემბრის კანონის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა რიგით სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებსაც უნდა შეენარჩუნებინათ საზოგადოებრივი წესრიგი და უზრუნველეყოთ შენობა-ნაგებობების ღვთისმსახურებისთვის დაცვა, მრევლის ინტერესებიდან გამომდინარე. საკასაციო სასამართლომ უკვე დადგინა, რომ საეკლესიო ხელისუფლებას არ გააჩნდა ისეთი მატერიალური ხასიათის ვალდებულებები, როგორიცაა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა დაიცვან შენობაში მყოფი ადამიანების უსაფრთხოება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც არეულობა წარმოიშვა გარეთ.

37. მომჩივანი აცხადებდა, რომ შეუძლებელი იყო იმის მტკიცება, რომ ისეთი შეკრება როგორიც წინამდებარე საქმეშია, კერძოდ, საიმიგრაციო სტატუსის მოწესრიგებისათვის არ იყო მშვიდობიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ შეკრების მიზანი იმდროინდელმა მთავრობამ არ მოიწონა. მთავრობის მიერ ციტირებული კომისიის გადაწყვეტილებებს არ გააჩნდა მთავრობის მიერ მათთვის მიკუთვნებული ფარგლები. პრაქტიკაში, ერთადერთი ტიპის ღონისძიებები, რომლებიც არ კვალიფიცირდება როგორც „მშვიდობიანი შეკრებები“ იყო ის, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ძალადობის გამოყენება. წინამდებარე საქმეში არც ეკლესიის

„მაცხოვრებლებს“ და არც მომჩივანს არც ერთ ეტაპზე არ წარდგენიათ ბრალი ძალადობრივ ქმედებებში. ნებისმიერ შემთხვევაში, შეკრების კანონიერება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენება იმის დადგენის კრიტერიუმად, იყო თუ არა ის მშვიდობიანი.

38. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ შეკრება ერეოდა სხვათა შეკრების თავისუფლებაში, მომჩივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას და მის „თანაოკუპანტებს“ მხარს უჭერდნენ მღვდელი და მისი სამრევლო საბჭო და ყველა ცერემონია ჩატარდა დანიშნულ დროს, ყოველგვარი ინციდენტის გარეშე. იგი ამტკიცებდა, რომ მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, პრეცედენტულ სამართალში არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული წესი ან უფლებამოსილება, რომელიც საშუალებას აძლევდა საჯარო ხელისუფლებას გადაეწყვიტა, რა იყო ეკლესიის საუკეთესო ინტერესებში რელიგიური ხელისუფლების ნაცვლად. იმის ნაცვლად, რომ ეჩვენებინა, თუ როგორ ჩაერია შეკრება ღვთისმსახურების თავისუფლებაში, მთავრობა ეყრდნობოდა ე.წ. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, რომელიც სავარაუდოდ, ეკლესიის გარეთ მოხდა.

39. სტრასბურგის სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივანი იყო უცხოელთა იმ ჯგუფის წევრი, რომელთაც არ ჰქონდათ მოქმედი ბინადრობის ნებართვა და გადაწყვიტეს მიეღოთ კოლექტიური ზომები, რათა მიექციათ ყურადღება იმ სირთულეებზე, რომლებიც მათ ექმნებოდათ საფრანგეთში მათი იმიგრაციის სტატუსის გადახედვისას. მათი კამპანია დასრულდა 1996 წლის 28 ივნისს, წმინდა ბერნარდის ეკლესიის ოკუპაციის გადაწყვეტილებით, რომელშიც ჯგუფი ცხოვრობდა დაახლოებით ორი თვის განმავლობაში. არც მღვდელმა და არც ეკლესიის სამრევლო საბჭომ არ გააპროტესტა მათი იქ ყოფნა, და ღვთისმსახურება და სხვადასხვა ცერემონიები გეგმის და ინციდენტის გარეშე მიმდინარეობდა.

40. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ეკლესიის ევაკუაცია იყო მომჩივნების მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაში ჩარევა.

ბ. გამართლებული იყო თუ არა ჩარევა

1. „კანონით დადგენილი“

41. მთავრობამ განაცხადა, რომ ევაკუაციის ბრძანება, რომლის საფუძველზეც დასრულდა შეკრება, დადგენილი იყო კანონით, კერძოდ, შესაბამისი კანონის საფუძველზე პირიზის პოლიციის კომისარს ჰქონდა სრული უფლებამოსილება საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. მაშასადამე, პოლიციის კომისარს გააჩნდა საჭირო უფლებამოსილება, რათა მიეღო 1996 წლის 22 აგვისტოს ბრძანება წმინდა ბერნარდის ეკლესიის ოკუპანტების გამოსახლების შესახებ.

42. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ზემოხსენებულ დებულებებში არაფერი იყო იმის დასადასტურებლად, რომ პოლიციის კომისიის უფლებამოსილებები მოიცავდა რელიგიური ღვთისმსახურების დაცვას ან მას ჰქონდა შეიარაღებული ძალების განლაგების უფლება, რათა გაეუქმებინა თავშესაფრის უფლება იმ ადამიანების იძულებით გამოსახლების გზით, რომლებმაც უკანასკნელ ზომად, თავი შეაფარეს ღვთისმსახურების ადგილს.

43. სასამართლო ადგენს, რომ საქმეში ჩარევა კანონით იყო დადგენილი: კერძოდ, 1905 წლის 9 დეკემბრის კანონის თანახმად, რელიგიური ღვთისმსახურების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლება და არა მღვდელი და მათ უფლება აქვთ იმოქმედონ მღვდლის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით.

2. ლეგიტიმური მიზანი

44. მთავრობამ განაცხადა, რომ ევაკუაციის ბრძანება მიღებული იქნა მთელი რიგი საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. მისი უპირველესი მიზანი იყო, ეკლესიაში წარმოდგენილთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, რომელთაგან ყველა სერიოზული რისკის ქვეშ იმყოფებოდა, როგორც საცხოვრებელი პირობების, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, შიმშილობის გამო. მანდატურმა, რომელსაც პოლიციის კომისრის მიერ დაევალა შენობების დათვალიერება, თავის ოფიციალურ მოხსენებაში აღნიშნა მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და ადეკვატური

სანიტარული საშუალებების სერიოზული ნაკლებობა. ბრძანების გაცემა ასევე, აუცილებელი იყო საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად და დანაშაულთა ჩადენის თავიდან ასაცილებლად: ეკლესიის „ოკუპანტებმა“ აღიარეს, რომ არღვევდნენ საიმიგრაციო წესებს; ეკლესიის გარეთ განლაგებულმა ინსტალაციებმა ხელი შეუშალა ტრანსპორტის თავისუფალ ნაკადს და ეკლესიის ოკუპაციამ მიიპყრო რამდენიმე დამთვალიერებელის ყურადღება, რამაც შიში გააჩინა, რომ სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდოდა. დაბოლოს, ზომები იქნა მიღებული, რათა უზრუნველყოფილიყო შენობის რელიგიური დანიშნულების დაცვა.

45. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ყველა ჩამოთვლილი მიზეზი მხოლოდ საბაბი იყო. სიმართლე, როგორც პრესაში ფართოდ გავრცელდა დისკუსიის გარეშე, იყო ის, რომ პოლიციის კომისარმა უბრალოდ შეასრულა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება, რათა საზოგადოებისთვის არ შეექმნა აზრი, რომ ისინი დაასუსტა იმ გამოწვევამ, რომელსაც sans papiers უყენებდა მთავრობას საიმიგრაციო სტატუსის გადახედვასთან დაკავშირებით.

46. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ევაკუაციის დასრულების ბრძანება გაიცა იმისათვის, რომ ბოლო მოეღო სალოცავი ადგილის განგრძობით ოკუპაციას იმ პირების მიერ, მათ შორის მომჩივნის მიერ, რომლებმაც დაარღვიეს საფრანგეთის კანონმდებლობა. ამრიგად, ჩარევას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პრევენცია.

3. „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

47. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანი და რამდენიმე ასეული ადამიანი დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში რჩებოდნენ საჯარო შენობაში, რომელიც გამოიყენებოდა ექსკლუზიურად სალოცავად და აშკარად შუფერებელი იყო ასეთი ოკუპაციისთვის. ორი თვის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა ევაკუაციას, მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა თავისი მოთხოვნები. შესაბამისად, გასაჩივრებული ღონისძიების საჭიროება მით უფრო მწვავე იყო წინამდებარე საქმეში. მთავრობამ გაიმეორა, რომ მომჩივანი არღვევდა საიმიგრაციო წესებს და საჯაროდ აღიარა დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ მან ადრე მიიღო ტერიტორიის დატოვების შეტყობინება და თავისი საქციელით არღვევდა 1881 წლის კანონის დებულებებს, რომელიც თავის მხრივ, არეგულირებს შეკრების თავისუფლებას და

1905 წლის კანონის დებულებებს, რომლებიც არეგულირებს სალოცავი ადგილების გამოყენებას.

48. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ეკლესიაში მყოფი დაახლოებით, სამასი ადამიანიდან ათი მოშიმშილე იყო და მათ მიიღეს სამედიცინო დახმარება მათ შორის, ხელისუფლების მხრიდან დახმარება, რადგან ევაკუაციამდე რამდენიმე დღით ადრე, პოლიციამ მოშიმშილეები სხვადასხვა საავადმყოფოში გადაიყვანა, რათა მათი მდგომარეობა გამოეკვლია. მოშიმშილეები მაშინვე დაბრუნდნენ ეკლესიაში, საკუთარი ძალებით. ეკლესიის ოკუპაცია მშვიდობიანი იყო და მოხდა რელიგიური ხელისუფლებისა და მრევლის თანხმობით. არალეგალ ემიგრანტებს შეკრება არ ეკრძალებოდათ. უფრო მეტიც, მთავრობამ აიღო ვალდებულება განეხილა ეკლესიის ყველა ოკუპანტის საქმე, ასე რომ ამ უკანასკნელებს უფლება ჰქონდათ დარჩენილიყვნენ საფრანგეთში სულ მცირე, ამ განხილვამდე და მათი წასვლის უზრუნველსაყოფად დაწყებული შემდგომი პროცესის დასრულებამდე.

49. მომჩივანმა დაამატა, რომ ფაქტიურად, არანაირი ინციდენტი არ ყოფილა ეკლესიის მიმდებარედ ან საჯარო გზატკეცილზე და რაიმე რომ მომხდარიყო, პოლიციას შეეძლო ჩარეულიყო წესრიგის აღსადგენად ეკლესიის ევაკუაციის გარეშე. სწორედ ამიტომ, ერთადერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც იქნა მოტანილი, ეხებოდა რკინის ბარიერებს, რომლებიც თითქოსდა, იყო მოწყობილი გზაზე და ბლოკავდა მოძრაობას. გარდა იმისა, რომ არსებობდნენ თვითმხილველები, რომლებიც ამ ბრალდებას უარყოფდნენ, ასეთი სიტუაციის გამოსწორება შეიძლებოდა ეკლესიის ევაკუაციის გარეშე. დაბოლოს, ბრალდება იმის შესახებ, რომ ეკლესიის შესასვლელები გადაკეტილი იყო, საკმაოდ მცდარი იყო და ეკლესიის წინამძღოლებიც და ოკუპანტებიც ყოველთვის იცავდნენ უსაფრთხოების რეგულაციებს.

50. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის აზრს, რომ ის ფაქტი, რომ მომჩივანი არალეგალი ემიგრანტი იყო, საკმარისი იყო იმისთვის, რომ გამართლებულიყო შეკრების თავისუფლების უფლების დარღვევა, ვინაიდან ისინი ამ უფლებით უკვე სარგებლობდნენ ხელისუფლეის მხრიდან ჩარევის გარეშე ორი თვის განმავლობაში, და მშვიდობიანი პროტესტი კანონმდებლობის წინააღმდეგ, რომელიც დაირღვა, არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

51. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიება მშვიდობიანი იყო და თავისთავად არ იწვევდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ან არ აფერხებდა ეკლესიის მნახველებს ღვთისმსახურების დასწრებაში. თუმცა, ორი თვის შემდეგ, არალეგალი ემიგრანტების მათ შორის, მომჩივნების მიერ ეკლესიის მუდმივი ოკუპაცია გადაიზარდა ისეთ სიტუაციაში, რომელიც აღწერილია მანდატურის მიერ პოლიციის კომისრის დავალებით შედგენილ ანგარიშში – მოშიმშილეთა ჯანმრთელობა გაუარესდა და სანიტარული პირობები სრულიად არაადეკვატური გახდა.

52. ამ გარემოებებში სასამართლო აღიარებს, რომ შესაძლოა საჭირო გამხდარიყო მომჩივნის შეკრების უფლების განხორციელების შეზღუდვა. მღვდელს არ მოუთხოვია პოლიციის ჩარევა და პოლიციის მიერ გამოყენებული მეთოდები გაფრთხილების გარეშე და განურჩეველი ინტერვენციისას, სცილდებოდა იმას, რასაც გონივრულად უნდა ელოდო ხელისუფლების მხრიდან შეკრების თავისუფლების შეზღუდვისას. სასამართლო წუხს, რომ ასეთი მეთოდები იქნა გამოყენებული. თუმცა, იგი აღნიშნავს, რომ პოლიციას შეეძლო განეხორციელებინა სავსებით კანონიერი ჩარევა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, და ხელისუფლების შიში, რომ სიტუაცია შეიძლება სწრაფად გაუარესებულიყო და რომ მისი დიდხანს გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, არ იყო უსაფუძვლო.

53. ამ პირობებში და ამ სფეროში სახელმწიფოებისთვის დარჩენილი თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით (*Plattform „Ärzte für das Leben“ v. Austria*, 21 June 1988, Series A no. 139, p. 12, § 34), სასამართლო ადგენს, რომ საქმის ყველა გარემოებების გათვალისწინებით, მომჩივნის შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევა იყო მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნების პროპორციული.

54. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-11 მუხლი.